

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2019 წლის ---- მაისი

ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური
შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70
განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების 1-ლი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ლ“ ქვეპუნქტი (როინ ზოიძე - კომისიის წევრი).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 27 მაისს საკრებულოს წევრ როინ ზოიძის მიერ წარმოდგენილი #11/288 განცხადებით, რომლის თანახმადაც მან მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გასვლის შესახებ. შესაბამისად საჭიროა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობაში ცვლილების შეტანა და როინ ზოიძის გასვლა მისი შემადგენლობიდან.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე